ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათია ხაჩიძე

მაღალი რიგის „თითქმის წრფივი'' ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების რხევადობის კრიტერიუმები

მათემატიკის დეპარტამენტი

დოქტორანტის სემინარი

ხელმძღვანელი: რომან კოპლატაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2017

სარჩევი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლება, რომლის კერძო შემთხვევაა შემდეგი სახის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება

$$u^{(n)}(t) + p(t)|u(t)|^{\eta(t)} sign(u(t)) = 0$$

სადაც $p \in L_{loc}(R_+, R)$, $\eta \in C(R_+, (0;+\infty))$.

ვიტყვით, რომ მოცემული განტოლება „თითქმის წრფივია'' თუ სრულდება პირობა

$$\lim_{t\to+\infty} \eta(t) = 1,$$

ხოლო თუ

$$\lim_{t\to+\infty} \eta(t) \neq 1 \quad \text{ან} \quad \limsup_{t\to+\infty} \eta(t) \neq 1,$$

მაშინ განტოლებას ეწოდება არსებითად არაწრფივი დიფერენციალური განტოლება.

ნაშრომში განხილულია „თითქმის წრფივი'' დიფერენციალური განტოლება და დადგენილია ამონახსნების რხევადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.

Abstract

In this paper is considered functional-differential equation, which particular case is the ordinary differential equation

$$u^{(n)}(t) + p(t)|u(t)|^{\eta(t)} sign(u(t)) = 0$$

where $p \in L_{loc}(R_+, R)$, $\eta \in C(R_+, (0;+\infty))$.

this equation is “almost linear” if the conditions

$$\lim_{t\to+\infty} \eta(t) = 1,$$

holds, while if

$$\lim_{t\to+\infty}\eta(t)\neq 1 \quad \text{or} \quad \limsup_{t\to+\infty}\eta(t)\neq 1,$$

holds, then the equation is essentially nonlinear differential equation.

In this present is considered “almost linear”differential equation and are established necessaryand sufficient conditions of oscilations of solutions.

1. შესავალი

მოცემულ ნაშრომში შესწავლილია

$$u^{(n)}(t)+F(u)(t)=0 \tag{1.1}$$

ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლების რხევადი ამონახსნების არსებობის საკმარისი პირობები, სადაც $F:C(R_+,R)\to L_{loc}(R_+,R)$ არის უწყვეტი ასახვა.

ვთქვათ $\tau\in C(R_+,R),\ \lim\limits_{t\to+\infty}\tau(t)=+\infty,$ აღვნიშნოთ $V(\tau)$ -თი ისეთი F უწყვეტი ასახვების სიმრავლე, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობებს $F(x)(t)=F(y)(t)$ ყოველი $t\in R_+$ თვის $x,y\in C(R_+,R),\quad x(s)=y(s)$ როცა $s\ge\tau(t).$ ყოველი $t_0\in R_+$ თვის ავნიშნოთ $H_{t_0,\tau}$ ით სიმრავლე ყველა $u\in C(R_+,R)$ ფუნქციებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას $u(t)\ne 0$ როცა $t\ge t_*$. სადაც $t_*=\min\{t_0,\tau_*(t_0)\},\ \tau_*(t)=\inf\{\tau(s):s\ge t\}.$

ქვემოთ ყველგან ვიგულისხმებთ, რომ სრულდება ერთ-ერთი შემდეგი ორი პირობიდან

$$F(u)(t)\ge 0 \qquad \text{როცა} \quad t\ge t_0,\quad u\in H_{t_0,\tau}, \tag{1.2}$$

ან

$$F(u)(t)\le 0 \qquad \text{როცა} \quad t\ge t_0,\quad u\in H_{t_0,\tau}. \tag{1.3}$$

ვიტყვით, რომ ფუნქცია $u:[t_0,+\infty)\to R$ არის (1.1) განტოლების წესიერი ამონახსნი, თუ ის არის ლოკალურად აბსოლუტურად უწყვეტი $n-1$ რიგის ჩათვლით, $\sup\{|u(s)|:s\in(t,+\infty)\}>0$ როცა $t\ge t_0$ და არსებობს ფუნქცია $\bar{u}\in C(R_+,R)$ ისეთი, რომ $\bar{u}(t)\equiv u(t)$ როცა $t\in[t_0,+\infty)$ და სრულდება ტოლობა $\bar{u}^{(n)}(t)+F(u)(t)=0$ როცა $t\in[t_0,+\infty)$.

ვიტყვით, რომ ამონახსნი $u:[t_0,+\infty)\to R$ არის რხევადი თუ მას აქვს ნულების მიმდევრობა $(t_0,+\infty)$ შუალედში კრებადი $+\infty$ -კენ. სხვა შემთხვევაში ვიტყვით რომ არ არის რხევადი.

განსაზღვრება 1.1. ვიტყვით, რომ (1.1) განტოლებას გააჩნია A თვისება, თუ ლუწი n -ის შემთხვევაში მისი ყოველი წესიერი ამონახსნი რხევადია, ხოლო კენტი n -ის შემთხვევაში ან რხევადია ან აკმაყოფილებს პირობას

$$\left|u^{(i)}(t)\right|\downarrow 0 \qquad \text{როცა} \quad t\to+\infty \quad (i=0....,n-1)\,. \tag{1.4}$$

განსაზღვრება 1.2. ვიტყვით, რომ (1.1) განტოლებას გააჩნია B თვისება, თუ ლუწი n -ის შემთხვევაში მისი ყოველი წესიერი ამონახსნი ან რხევადია, ან აკმაყოფილებს (1.4) პირობას, ან

$$\left|u^{(i)}(t)\right|\uparrow +\infty \qquad \text{როცა} \quad t\to+\infty \quad (i=0....,n-1) \tag{1.5}$$

ხოლო კენტი n -ის შემთხვევაში ან რხევადია ან აკმაყოფილებს (1.5) პირობას.

1836 წელს შტურმმა [35] დაამტკიცა მეორე რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლებების შედარების თეორემა, რომელიც მოგვიანებით ფართოდ გამოიყენებოდა სასაზღვრო პრობლემებისა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის შესასწავლად. შტურმის კლასიკური თეორემის გამოყენებით კნეზერმა დაამტკიცა, რომ თუ

$$\liminf_{t\to+\infty} t^2 p(t) > \frac{1}{4},$$

მაშინ ყოველი ამონახსნი განტოლებისა

$$u''(t) + p(t)u(t) = 0 \tag{1.6}$$

რხევადია.

მაღალი რიგის წრფივ ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებებში შტურმის თეორემის ნათელი ანალოგი არ გვაქვს. კვლევებისას წარმოიქმნა გარკვეული სირთულეები. კნეზერი იყო პირველი ვინც აჩვენა, რომ საკმარისია შესრუდეს პირობა

$$\liminf_{t\to+\infty} t^{n/2} p(t) > 0,$$

მაშინ განტოლებას

$$u^{(n)}(t) + p(t)u(t) = 0 \tag{1.7}$$

აქვს A თვისება.

შედარების თეორემის ერთ-ერთი შედეგია, რომ თუ გვაქვს უტოლობა

$$p(t) \geq q(t) \geq 0 \quad \text{როცა} \quad t \in R_+$$

და განტოლებას

$$u^{(n)}(t) + q(t)u(t) = 0 \tag{1.8}$$

აქვს A თვისება, მაშინ (1.7) განტოლება აქვს ასევე A თვსება.

ჭანტურიამ [4] აჩვენა, რომ თუ სრულდება უტოლობა

$$p(t) \leq q(t) \leq 0 \quad \text{როცა} \quad t \in R_+$$

და (1.8) განტოლებას აქვს B თვისება, მაშინ (1.7) განტოლებასაც აქვს ასევე B თვისება.

შედარების თეორემიდან ვღებულობ, რომ თუ $p(t) \geq 0$ ($p(t) \leq 0$) და

$$\liminf_{t\to+\infty} t^n |p(t)| > M_n \quad (M_n^*) \tag{1.9}$$

სადაც

$$
\begin{aligned}
&M_n = \max\{-\lambda(\lambda-1)...(\lambda-n+1) : \lambda \in [0;n-1]\} \\
&(M_n^* = \max\{\lambda(\lambda-1)...(\lambda-n+1) : \lambda \in [0;n-1]\}).
\end{aligned}
\tag{1.10}
$$

მაშინ (1.7) განტოლება აქვს A თვისება (B თვისება).

საკმარისი პირობები, იმისათვის, რომ (1.7) განტოლებას ჰქონდეს A(B) თვისება, მიღებულია [9], [33], [2], [13] ნაშრომებში. მოგვიანებით ჭანტურიამ [6] დაამტკიცა ინტეგრალური შედარების თეორემა, რომელიც ინტეგრალური განზოგადებაა ზემოთ ხსენებული შედარების თეორემის. ამ თეორემის გამოყენებით მან შეძლო გაეუმჯობესებინა (1.9) პირობა. კერძოდ, მან აჩვენა, რომ თუ $p(t) \ge 0$ $\left(p(t) \le 0\right)$ და სრულდება უტოლობა

$$
\liminf_{t\to+\infty} t\int_t^{+\infty} s^{n-2}p(s)ds > M_n \qquad \left(\liminf_{t\to+\infty} t^2\int_t^{+\infty} s^{n-3}|p(s)|ds > \frac{M_n^*}{2}\right)
$$

სადაც $M_n(M_n^*)$ განსაზღვრულია (1.10)-ით, მაშინ (1.7) განტოლებას აქვს A თვისება (B თვისება). კოპლატაძემ [18], [19] დაამტკიცა ინტეგრალური შედარების თეორემა ორი სახის დიფერენციალური განტოლებისათვის დაგვიანებული არგუმენტით.

ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება

$$
u^{(n)}(t) + p(t)|u(t)|^{\eta(t)} sign(u(t)) = 0 \tag{1.11}
$$

კერძო შემთხვევაა (1.1) განტოლების, სადაც $p \in L_{loc}(R_+, R)$, $\eta \in C(R_+;(0,+\infty))$.

ვიტყვით, რომ განტოლება „თითქმის წრფივია“ თუ $\lim\limits_{t\to+\infty}\eta(t) = 1$, ხოლო თუ არსებობ $\lambda \in (0;1)$ $\left(\lambda \in (1;+\infty)\right)$ ისეთი, რომ სრულდება პირობა $\eta(t) \le \lambda \left(\eta(t) \ge \lambda\right)$, მაშინ (1.11) განტოლება არის არსებითად არაწრფივი ემდენ-ფაულერის სახის დიფერენციალური განტოლება.

(1.11) განტოლების რხევადობის კრიტერიუმები, როცა $\eta(t) \equiv \lambda \ne 1$ და $n = 2$, პირველად შეისწავლა ატკინსონმა [3]. კიღურაძემ შეისწავლა ანალოგიური პრობლემა მაღალი რიგის ემდენ-ფაულერის განტოლებისთვის, როცა n ლუწია და $\lambda > 1$ [14]. ლიცკომ და სვეკმა დაამტკიცეს აუცილებელი და საკმარისი პირობები ლუწი და კენტი n-ის შემთხვევაში, როცა $0 < \lambda < 1$ და $\lambda > 1$. მრავალი სტატია და კვლევები მიეძღვნა ჩვეულებრივ და გადახრილარგუმენტიანი დიფერენციალური განტოლებების შესწავლას [1], [7], [8], [10], [11], [12], [15], [20]-[25], [30], [31]. ანალოგიური პრობლემა

შესწავლილია ნაშრომში [29], სადაც ხარისხის მაჩვენებელი მუდმივია. (1.1) სახის დიფერენციალური განტოლების ამონახსნების რხევადობის საკითხის შესწავლა დაიწყო 1990 წელს. სახელდობრ, პირველად ნაშრომში იყო გამოყენებული ახალი მიდგომები ამონახსნების რხევადობის დასადგენად [22]. განზოგადოებული ემდენ-ფაულერის „თითქმის წრფივი" დიფერენციალური განტოლებების გამოკვლევა პირველად გამოჩნდა [27]-[29] ნაშრომებში. A თვისების შემთხვევაში ოპტიმალური შედეგები მიღებულია [29]-ში. მიღებული შედეგებიდან (1.11) განტოლების შემთხვევაში, როცა $\lim\limits_{t\to+\infty}\eta(t)=1$ და $\eta(t)\neq 1$, კარგად ჩანს მსგავსება წრფივ და არაწრფივი განტოლებების შემთხვევაში. ამის მიხედვით, „თითქმის წრფივ" განტოლებებს უკავიათ შუალედური ადგილი წრფივ და არაწრფივ განტოლებებს შორის.

ამ ნაშრომში შესწავლილია „თითქმის წრფივი" განტოლებებისთვის ორივე A და B თვისებების შემთხვევა. A თვისების შემთხვევაში შესაძლებელი აღმოჩნდა [29]-ში მიღებული შედეგების გაუმჯობესება.

2. ზოგიერთი დამხმარე ლემა

აღვნიშნოთ $\widetilde{C}_{loc}^{n-1}([t_0,+\infty))-$ით სიმრავლე ყველა $u:[t_0,+\infty)\to R$ ფუნქციებისა, რომლებიც აბსოლუტურად უწყვეტია ყოველ განსაზღვრულ ქვეინტერვალზე $[t_0,+\infty)$ ინტერვალისა. ასევე აბსოლუტურად უწყვეტია მათი წარმოებულებიც $n-1$რიგამდე ჩათვლით.

ლემა 2.1. ვთქვათ $u(t)\in\widetilde{C}_{loc}^{n-1}([t_0,+\infty)),\ u(t)>0,\ u^{(n)}(t)\le 0\ (u^{(n)}(t)\ge 0)$ როცა $t\ge t_0$ და $u^{(n)}(t)\neq 0$ უსასრულობის ნებისმიერ მიდამოში, მაშინ არსებობს $t_1\ge t_0$ და $\ell\in\{0,...,n-1\}$ ისეთი, რომ $\ell+n$ კენტია ($\ell+n$ ლუწია) და

$$u^{(i)}(t)>0 \quad \text{როცა} \quad t\ge t_1 \quad (i=0,...,\ell-1) \tag{2.1$_\ell$}$$

$$(-1)^{i+\ell}u^{(i)}(t)\ge 0 \quad \text{როცა} \quad t\ge t_1 \quad (i=0,...,\ell-1).$$

შენიშვნა. იმ შემთხვევაში როცა $\ell=0$ ვიგულისხმებთ, რომ (2.1_ℓ) პირობის მეორე უტოლობა სრულდება, ხოლო როცა $\ell=n$ სრულდება პირველი უტოლობა (2.1_ℓ) პირობიდან.

დამტკიცება: ლემის პირობით $u^{(n)}(t) \le 0$ როცა $t \ge t_0$. მაშინ არსებობს რაიმე $t^* \ge t$ ისეთი, რომ სრულდება შემდეგი ორიდან ერთ-ერთი $u^{(n-1)}(t) \le 0$ ან $u^{(n-1)}(t) \ge 0$.

ვთქვათ სრულდება $u^{(n-1)}(t) \le 0$. განვიხილოთ $u^{(n-2)}(t)$

$$u^{(n-2)}(t) = u^{(n-2)}(t_0) + \int_{t_0}^{t} u^{(n-1)}(t)dt.$$

როცა $t \to +\infty$ მივიღებთ, რომ $u^{(n-2)}(t) \le 0$, რადგან $u^{(n-2)}(t_0)$ რაღაც ფიქსირებული რიცხვია. ანალოგიურად გვექნება, რომ $u^{(n-3)}(t) \le 0$ და ა.შ. საბოლოოდ გვექნება $u(t) \le 0$. რაც ეწინააღმდეგება პირობას.

განვიხილოთ მეორე პირობა $u^{(n-1)}(t) \ge 0$. აქ გვაქვს კვლავ ორი შემთხვევა $u^{(n-2)}(t) \le 0$ და $u^{(n-2)}(t) \ge 0$, რაღაც ადგილიდან დაწყებული. განვიხილოთ $u^{(n-2)}(t) \ge 0$ როცა $t \ge t^*_{00}$. მაშინ მივიღებთ, რომ $u^{(n-3)}(t) \ge 0$ როცა $t \ge t^{**}_{00} \ge t^*_{00}$. საბოლოოდ გვექნება, რომ $u(t) > 0$. ანუ წარმოებულებმა n რიგიდან დაიწყეს ნიშანცვლა, ე.ი. $\ell = n-1$. მაშინ სრულდება (2.1_ℓ) პირობები. $u^{(n-2)}(t) \le 0$ შემთხვევისთვის ჩავატაროთ ანალოგიური მსჯელობა როგორც ზევით. ამით ლემა დამტკიცებულია.

ლემა 2.2. ვთქვათ $u(t) \in \tilde{C}^{n-1}_{loc}([t_0,+\infty))$ და (2.1_ℓ) სრულდება რომელიმე $\ell \in \{1,\dots,n-1\}$ -თვის $\ell + n$ კენტია ($\ell + n$ ლუწია). მაშინ

$$\int_{t_0}^{+\infty} t^{n-\ell-1} \left| u^{(n)}(t) \right| dt < +\infty. \tag{2.2}$$

გარდა ამისა, თუ

$$\int_{t_0}^{+\infty} t^{n-\ell} \left| u^{(n)}(t) \right| dt = +\infty, \tag{2.3}$$

არსებობს $t_* \ge t_0$ ისეთი, რომ

$$\frac{u^{(i)}(t)}{t^{\ell-i}} \downarrow 0, \qquad \frac{u^{(i)}(t)}{t^{\ell-i-1}} \uparrow +\infty, \qquad (i = 0,\dots,\ell-1) \qquad (2.4_i)$$

$$u(t) \ge \frac{t^{\ell-1}}{\ell!} u^{(\ell-1)}(t) \qquad \text{როცა} \qquad t \ge t_* \tag{2.5}$$

და

$$u(t)\ge \frac{1}{(\ell-1)!(n-\ell-1)!}\int_{t_*}^{t}(t-s)^{\ell-1}\int_{s}^{+\infty}(\xi-s)^{n-\ell-1}\left|u^{(n)}(\xi)\right|d\xi ds \qquad \text{როცა} \quad t\ge t_*. \qquad (2.6)$$

ლემა 2.3. ვთქვათ $t_0\in R_+$, $\varphi,\psi\in C([t_0,+\infty),(0,+\infty))$, ψ არის არაზრდადი ფუნქცია და

$$\lim_{t\to+\infty}\varphi(t)=+\infty, \qquad (2.7)$$

$$\liminf_{t\to+\infty}\psi(t)\tilde{\varphi}(t)=0, \qquad (2.8)$$

სადაც $\tilde{\varphi}(t)=\inf\{\varphi(s): s\ge t\ge t_0\}$. მაშინ არსებობს რაიმე $\{t_k\}_{k=1}^{+\infty}$ წერტილთა მიმდევრობა ისეთი, რომ $t_k\uparrow+\infty$ როცა $k\to+\infty$ და

$$\tilde{\varphi}(t_k)=\varphi(t_k), \qquad \psi(t)\tilde{\varphi}(t)\ge\psi(t_k)\tilde{\varphi}(t_k) \qquad t_0\le t\le t_k \qquad (\text{k=1,2,…}) \qquad (2.9)$$

და

$$\lim_{t\to+\infty}\psi(t_k)\varphi(t_k)=0. \qquad (2.10)$$

<u>დამტკიცება:</u> $t\in(t_0;+\infty)$. განვსაზღვროთ სიმრავლეები E_i $(i=1,2)$ შემდეგნაირად

$$t\in E_1\Leftrightarrow\varphi(t)=\tilde{\varphi}(t),$$

$$t\in E_2\Leftrightarrow\tilde{\varphi}(s)\psi(s)\ge\tilde{\varphi}(t)\psi(t), \quad \text{როცა} \quad s\in[t_0,t].$$

(2.7) და (2.8)-დან ნათელია, რომ $\sup E_i=+\infty$. ვაჩვენოთ, რომ $\sup E_1\cap E_2=+\infty$. მართლაც თუ დავუშვებთ, რომ $t_*\in E_2$ და $t_*\notin E_1$. (2.7)-დან არსებობს $t^*>t_*$ ისეთი, რომ $\tilde{\varphi}(t)=\varphi(t_*)$ როცა $t\in[t_*,t^*]$ და $\tilde{\varphi}(t^*)=\varphi(t_*)$ მეორეს მხრივ, ψ არის არაზრდადი ფუნქცია, ჩვენ გვაქვს

$$\psi(t)\tilde{\varphi}(t)\ge\psi(t^*)\tilde{\varphi}(t^*) \quad \text{როცა} \quad t\in[t_0,t^*].$$

ამიტომ $t^*\in E_1\cap E_2$. ზემოთ აღნიშნული მსჯელობის გამეორებით ჩვენ დავადგინეთ, რომ სრულდება

$$\sup E_1\cap E_2=+\infty.$$

შესაბამისად, არსებობს მიმდევრობა $\{t_k\}$, ისეთი რომ $t_k \uparrow +\infty$ როცა $k \to +\infty$ და (2.9) სრულდება.

ქვემოთ ყველგან ვიგულისხმოთ, რომ სრულდება უტოლობა

$$|F(u)(t)| \geq \sum_{i=1}^{m} \int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)} |u(s)|^{\mu_i(s)} d_s r_i(s,t) \qquad \text{როცა} \quad t \geq t_0, \ u \in H_{t_0,\tau} \tag{2.11}$$

სადაც

$$\mu_i \in C(R_+;(0,+\infty)), \quad \tau_i, \sigma_i \in C(R_+;R_+), \quad \tau_i(t) \leq \sigma_i(t) \quad \text{როცა} \quad t \in R_+, \tag{2.12}$$

$$\lim_{t\to+\infty} \tau_i(t) = +\infty \quad i = 1,\dots,m,$$

$r_i : R_+ \times R_+ \to R_+$ არის ზომადი t ცვლადის მიმართ და არაკლებადი ფუნქცია s ცვლადის მიმართ, $i = 1,\dots,m.$

3. აუცილებელი პირობები მონოტონური ამონახსნების არსებობისთვის

ამ თავში დადგენილია საკმარისი პირობები (2.1_ℓ) სახის ამონახსნების არსებობისათვის. ანალოგიური შედეგი როცა (1.2) პირობა სრულდება მეღებულია [29]-ში.

ქვემოთ ყველგან გამოვიყენებთ შემდეგ აღნიშვნებს:

ვთქვათ $t_0 \in R_+$, $\ell \in \{1,\dots,n-1\}$. U_{ℓ,t_0} -ით აღვნიშნეთ (1.1) განტოლების წესიერ ამონახსნთა სიმრავლე, რომლებიც აკმაყოფილებენ (2.1_ℓ) პირობას.

$$\Lambda_{\ell,u} = \{\lambda \mid \lambda \in [\ell-1,\ell], \lim_{t\to+\infty} t^{-\lambda} u(t) = +\infty\}, \qquad u \in U_{\ell,t_0} \tag{3.1}$$

$$\begin{aligned} &\mu(t) = \min\{1, \mu_i(t); i = 1,\dots,m\}, \\ &\tau_*(t) = \inf\{\tau(s) : s \geq t\}, \qquad \tau(t) = \min\{t, \tau_i(t); i = 1,\dots m\}, \end{aligned} \tag{3.2}$$

$$h_{1,\varepsilon}(\lambda)=\begin{cases}0, & \lambda=\ell-1\\ \varepsilon, & \lambda\in(\ell-1,\ell]\end{cases},\quad h_{1,\varepsilon}(\lambda)=\begin{cases}0, & \lambda=\ell\\ \varepsilon, & \lambda\in[\ell-1,\ell)\end{cases},\quad h_\varepsilon(\lambda)=h_{1,\varepsilon}(\lambda)+h_{2,\varepsilon}(\lambda),\qquad (3.3)$$

$$g_\ell(t,\varepsilon,\lambda)=\int_t^{+\infty}(\xi-t)^{n-\ell-1}\sum_{i=1}^{n}\int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)}s^{(\lambda-h_{1,\varepsilon})\mu_i(s)}d_s r_i(s,\xi)d\xi,\qquad (3.4_\ell)$$

$$\rho_{\ell,1}(t,\varepsilon,\lambda)=t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_\varepsilon(\lambda)-\lambda-h_{2,\varepsilon}(\lambda)}\int_0^t(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda)ds,\qquad (3.5_\ell)$$

$$\rho_{\ell,2}(t,\varepsilon,\lambda)=t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_\varepsilon(\lambda)-\lambda-h_{2,\varepsilon}(\lambda)}\int_0^t(t-s)^{\ell-1}(s)^{h_\varepsilon(\lambda)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda)ds.\qquad (3.6_\ell)$$

შენიშვნა 3.2. $\Lambda_{\ell,u}$ სიმრავლის განმარტებაში ვიგულისხმებთ, რომ თუ არ არის $\lambda\in[\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ $\lim\limits_{t\to+\infty}t^{-\lambda}u(t)=+\infty$, მაშინ $\Lambda_{\ell,u}=\varnothing$.

თეორემა 3.1. ვთქვათ $F\in V(\tau)$, (1.2) ((1.3)), (2.11), (2.12) პირობები სრულდება, $\ell\in\{1,\dots,n-1\}$ $\ell+n$ კენტია ($\ell+n$ ლუწია),

$$\int_0^{+\infty}t^{n-\ell}\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)}s^{(\ell-1)\mu_i(s)}d_s r_i(s,t)dt=+\infty,\qquad (3.7_\ell)$$

$$\int_0^{+\infty}t^{n-\ell-1}\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(t)}^{\sigma_i(t)}s^{\ell\mu_i(s)}d_s r_i(s,t)dt=+\infty,\qquad (3.8_\ell)$$

და

$$\liminf_{t\to+\infty}\mu_i(t)>0\qquad (i=1,\dots,m).\qquad (3.9)$$

გარდა ამისა, თუ $U_{\ell,t_0}\neq\varnothing$ ზოგიერთი $t_0\in R_+$ -თვის. მაშინ არსებობს $\lambda_0\in[\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to0^+}\left(\liminf_{t\to+\infty}\rho_{\ell,1}(t,\varepsilon,\lambda_0)\right)\le(\ell-1)!(n-\ell-1)!,\qquad (3.10_\ell)$$

სადაც $\rho_{\ell,1}$ განსზღვრულია (3.4_ℓ) და (3.5_ℓ) ტოლობებით.

დამტკიცება: ვთქვათ $t_0 \in R_+$ და $U_{\ell,t_0} \neq \varnothing$. U_{ℓ,t_0} სიმრავლის განმარტებიდან (1.1) განტოლებას აქვს წესიერი ამონახსნი $u \in U_{\ell,t_0}$ რომელიც აკმაყოფილებს (2.1_ℓ) პირობას. (1.2)((1.3)), (2.1_ℓ) , (2.5), (2.11) და (3.7_ℓ) -ის თანახმად ცხადია სრულდება (2.3). ამგვარად, ლემა 2.2.-დან, (2.4_0) პირობა სრულდება და

$$u(t) \geq \frac{1}{(\ell-1)!(n-\ell-1)!}\int_{t_*}^{t}(t-s)^{\ell-1}\int_{s}^{+\infty}(\xi-s)^{n-\ell-1}\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)}(u(\xi_1))^{\mu_i(\xi_1)}d_{\xi_1}r_i(\xi_1,\xi)ds \qquad (3.11)$$

როცა $t \geq t_*$ სადაც $t_* \geq t_0$ საკმარისად დიდი რიცხვია. (2.4_0)-ში ჩვენ გვაქვს $\ell-1 \in \Lambda_{\ell,u}$ და $\ell \notin \Lambda_{\ell,u}$. ამიტომ $\Lambda_{\ell,u} \subset [\ell-1,\ell)$. და $\lambda_0 = \sup \Lambda_{\ell,u} \in [\ell-1,\ell]$. (3.8_ℓ)-დან გვაქვს $\frac{u(t)}{t^\ell} \downarrow 0$ როცა $t \uparrow +\infty$, მაშინ (2.4_0) და (3.3)-ის თანახმად, საკმარისად მცირე დადებითი ε -თვის მივიღებთ

$$\liminf_{t\to+\infty}\frac{u(t)}{t^{\lambda_0+h_{2\varepsilon}(\lambda_0)}} = 0, \qquad \lim_{t\to+\infty}\frac{u(t)}{t^{\lambda_0-h_{1\varepsilon}(\lambda_0)}} = +\infty \qquad (3.12)$$

და

$$\ell-1 \leq \lambda_0 - h_{1\varepsilon}(\lambda_0) < \lambda_0 + h_{2\varepsilon}(\lambda_0) \leq \ell. \qquad (3.13)$$

აღვნიშნოთ

$$\varphi(t) = \left(\frac{u(t)}{t^{\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}}\right)^{\mu(t)} \qquad (3.14)$$

და

$$\widetilde{\varphi}(t) = \inf\{\varphi(s) : s \geq t\}. \qquad (3.15)$$

ვაჩვენოთ, რომ

$$\liminf_{t\to+\infty} t^{-h_\varepsilon(\lambda_0)}\widetilde{\varphi}(t) = 0, \qquad (3.16)$$

სადაც $h_\varepsilon(\lambda_0)$ განსაზღვრულია (3.3)-ით. მართლაც, (3.15)-ის თანახმად გვაქვს

$$t^{-h_\varepsilon(\lambda_0)}\widetilde{\varphi}(t) \leq t^{-h_\varepsilon(\lambda_0)}\left(\frac{u(t)}{t^{\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}}\right)^{\mu(t)} = t^{(\mu(t)-1)h_\varepsilon(\lambda_0)}\left(\frac{u(t)}{t^{\lambda_0+h_{2,\varepsilon}(\lambda_0)}}\right)^{\mu(t)}. \qquad (3.17)$$

რადგან $\mu(t) \le 1$, (3.12)-ის პირველი პირობის და (3.9)-ის თანახმად, (3.17)-დან (3.16) აკმაყოფილებს ყოველი $\varepsilon > 0$-თვის (3.13) პირობას. (3.2) და (3.12)-ის პირველი პირობის გამოყენებით, (3.11)-დან გვაქვს

$$u(\tau_*(t)) \ge \frac{1}{(\ell-1)!(n-\ell-1)!} \int_{t_*}^{\tau_*(t)} (\tau_*(t)-s)^{\ell-1} \int_s^{+\infty} (\xi - s)^{n-\ell-1} \times$$

$$\sum_{i=1}^{m} \int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)} \left(\frac{u(\xi_1)}{\xi_1^{\lambda_0 - h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}} \right)^{\mu_i(\xi_1)} \xi_1^{(\lambda_0 - h_{1,\varepsilon}(\lambda_0))\mu_i(\xi_1)} d_{\xi_1} r_i(\xi_1, \xi) d\xi ds \ge \frac{1}{(\ell-1)!(n-\ell-1)!} \int_{t_*}^{\tau_*(t)} (\tau_*(t)-s)^{\ell-1} \int_s^{+\infty} (\xi-s)^{n-\ell-1} \times$$

$$\times \sum_{i=1}^{m} \int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)} \left(\frac{u(\xi_1)}{\xi_1^{\lambda_0 - h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}} \right)^{\mu(\xi_1)} \xi_1^{(\lambda_0 - h_{1,\varepsilon}(\lambda_0))\mu_i(\xi_1)} d_{\xi_1} r_i(\xi_1, \xi) d\xi ds \quad \text{როცა} \quad t \ge t_*.$$

ამგვარად, (3.2) და (3.15)-ის თანახმად, უკანასკნელი უტოლობიდან

$$u(\tau_*(t)) \ge \frac{1}{(\ell-1)!(n-\ell-1)!} \int_{t_*}^{\tau_*(t)} (\tau_*(t)-s)^{\ell-1} \widetilde{\varphi}(\tau_*(s)) g_\ell(s, \varepsilon, \lambda_0) ds \quad \text{როცა} \quad t \ge t_1 \tag{3.18}$$

სადაც $g_\ell(s, \xi, \lambda_0)$ განსაზღვრულია (3.4_ℓ) – ით. (3.9), (3.12) და (3.16)-ში ცხადია, რომ ფუნქციები $\varphi(t)$ და $\psi(t) = t^{-h_\varepsilon(\lambda_0)}$ აკმაყოფილებს (2.3) ლემის პირობებს, სადაც $h_\varepsilon(\lambda_0)$ განსაზღვრულია (3.3)-ით. ამიტომ არსებობს მიმდევრობა $\{t_k\}_{k=1}^{+\infty}$ ისეთი, რომ $t_k \uparrow +\infty$ როცა და

$$\psi(\tau_*(t_k))\widetilde{\varphi}(\tau_*(t_k)) \le \psi(\tau_*(t))\widetilde{\varphi}(\tau_*(t)) \qquad t_1 \le t \le t_k \tag{3.19}$$

$$\widetilde{\varphi}(\tau_*(t_k)) = \varphi(\tau_*(t_k)) = \left(\frac{u(\tau_*(t_k))}{\tau_*^{\lambda_0 - h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}(t_k)} \right)^{\mu(\tau_*(t_k))} \qquad k = k_0, k_0+1, \dots \tag{3.20}$$

და

$$\lim_{t \to +\infty} \psi(\tau_*(t_k))\varphi(\tau_*(t_k)) = 0, \tag{3.21}$$

სადაც t_1 და k_0 საკმარისად დიდი რიცხვებია და ფუნქციები τ_*, μ და $\widetilde{\varphi}$ განსაზღვრულია შესაბამისად (3.2) და (3.15) ტოლობებით. (3.19) და (3.20-ის გათვალისწინებით (3.18)-დან მივიღებთ

$$u(\tau_*(t_k)) \geq \frac{(\tau_*(t_k))^{-h_\varepsilon(\lambda_0)}}{(\ell-1)!(n-\ell-1)!} \int_{t_1}^{\tau_*(t_k)} (\tau_*(t_k)-s)^{\ell-1} \tau_*^{h_\varepsilon(\lambda_0)}(s) g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) ds =$$

$$= \frac{(\tau_*(t_k))^{-h_\varepsilon(\lambda_0)} (u(\tau_*(t_k)))^{\mu(\tau_*(t_k))}}{(\ell-1)!(n-\ell-1)! \tau_*^{(\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0))\mu(\tau_*(t_k))}} \int_{t_1}^{\tau_*(t_k)} (\tau_*(t_k)-s)^{\ell-1} \tau_*^{h_\varepsilon(\lambda_0)}(s) g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) ds \quad k \geq k_0$$

ამგვარად გვაქვს

$$\left(\left(\frac{u(\tau_*(t_k))}{\tau_*^{\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}(t_k)}\right)^{\mu(\tau_*(t_k))} (\tau_*(t_k))^{-h_\varepsilon(\lambda_0)}\right)^{\frac{1=\mu(\tau_*(t_k))}{\mu(\tau_*(t_k))}} \geq \frac{(\tau_*(t_k))^{-\lambda_0-h_{2\varepsilon}(\lambda_0)+\left(1-1/\mu(\tau_*(t_k))\right)h_\varepsilon(\lambda_0)}}{(\ell-1)!(n-\ell-1)!} \times$$

$$\times \int_{t_1}^{\tau_*(t_k)} (\tau_*(t_k)-s)^{\ell-1} (\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)} g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) ds, \quad \text{როცა} \quad k \geq k_0 \qquad (3.22)$$

მართლაც $\mu(\tau_*(t_k)) \leq 1$, (3.21)-ის თანახმად საკმარისად დიდი k-თვის გვაქვს

$$\left(\left(\frac{u(\tau_*(t_k))}{\tau_*^{\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}(t_k)}\right)^{\mu(\tau_*(t_k))} (\tau_*(t_k))^{-h_\varepsilon(\lambda_0)}\right)^{\frac{1=\mu(\tau_*(t_k))}{\mu(\tau_*(t_k))}} \leq 1.$$

ამიტომ, საკმარისად დიდი k-თვის (3.22)-დან მივიღებთ

$$(\tau_*(t_k))^{-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)+\left(1-1/\mu(\tau_*(t_k))\right)h_\varepsilon(\lambda_0)} \times \left[\int_0^{\tau_*(t_k)} (\tau_*(t_k)-s)^{\ell-1} (\tau_*(t_k))^{h_\varepsilon(\lambda_0)} g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) ds - \right.$$

$$\left. - \int_0^{t_1} (\tau_*(t_k)-s)^{\ell-1} (\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)} g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) ds \right] \leq (\ell-1)!(n-\ell-1)!$$

სადაც g_ℓ განსაზღვრულია (3.4_ℓ) ტოლობით.თუ გავითვალისწინებთ $-\lambda_0 - h_{2,\varepsilon}(\lambda_0) + \ell - 1 < 0$ და $\mu(\tau_*(t_k)) \leq 1$, უკანასკნელი უტოლობიდან მივიღებთ

$$\limsup_{k\to+\infty}(\tau_*(t_k))^{-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)+\left(1-1/\mu(\tau_*(t_k))\right)h_\varepsilon(\lambda_0)}\times\left[\int_0^{\tau_*(t_k)}(\tau_*(t_k)-s)^{\ell-1}(\tau_*(t_k))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds\leq\right.$$

$$\leq(\ell-1)!(n-\ell-1)!$$

მაშასადამე

$$\liminf_{k\to+\infty}t^{-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)+\left(1-1/\mu(\tau_*(t_k))\right)h_\varepsilon(\lambda_0)}\times\left[\int_0^{t}(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds\leq\right.$$

$$\leq(\ell-1)!(n-\ell-1)!$$

ამგვარად, უკანასკნელ უტოლობაში თუ ავიღებთ ზედა ზღვარს როცა $\varepsilon\to 0+$, მივიღებთ (3.10_ℓ), სადაც ფუნქცია $\rho_{\ell 1}$ განსაზღვრულია $(3.5_\ell)-$ ით. თეორემა დამტკიცებულია.

თეორემა 3.2. ვთქვათ (3.1) თეორემის პირობები სრულდება და

$$\liminf_{t\to+\infty}\frac{\tau_i(t)}{t}>0\qquad\qquad (i=1,\ldots,m)\qquad\qquad (3.23)$$

მაშინ არსებობს $\lambda_0\in[\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to0+}\left(\liminf_{t\to+\infty}\rho_{\ell 2}(t,\varepsilon,\lambda_0)\right)\leq(\ell-1)!(n-\ell-1)!\qquad\qquad(3.24_\ell)$$

სადაც $\rho_{\ell,2}$ განსაზღვრულია (3.4_ℓ) და (3.6_ℓ) ტოლობებიდან.

დამტკიცება: 3.2 თეორემის დასამტკიცებლად საკმარისია ვაჩვენოთ, რომ 3.1 თეორემის (3.10_ℓ) პირობა მოიცავს (3.24_ℓ) , სადაც $\rho_{\ell,1}$ და $\rho_{\ell,2}$ შესაბამისად განსაზღვრულია (3.5_ℓ) და (3.6_ℓ) ტოლობებით. მართლაც, (3.23)-ის თანახმად არსებობს $c>0$ და $t_*>0$ ისეთი, რომ $\tau_*(t)\geq ct$, როცა $t\geq t_*$. სადაც τ_* განსაზღვრულია (3.2) ტოლობით. (3.4_ℓ) და (3.5_ℓ) -ის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ

$$\rho_{\ell,1}(t,\varepsilon,\lambda_0)\geq t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_\varepsilon(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)}\times\left[\int_0^{t_*}(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds+\right.$$

$$+c^{h_\varepsilon(\lambda_0)}\int_{t_*}^{t}(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds\Bigg] \tag{3.25}$$

(3.2)-ის პირველიპირობის და (3.13)-ის გამო, ჩვენ გვაქვს

$$\left(1-\frac{1}{\mu(t)}\right)h_\varepsilon(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)\le-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)\le 1-\ell.$$

ამიტომ

$$\lim_{t\to+\infty}t^{\left(1-\frac{1}{\mu(t)}\right)h_\varepsilon(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)}\int_0^{t_*}(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds=0.$$

თუ (3.25) უტოლობაში გავითვალისწინებთ (3.6_ℓ) და (3.10_ℓ) პირობებს, მაშინ გვაქვს

$$\liminf_{t\to+\infty}\rho_{\ell,2}(t,\varepsilon,\lambda_0)\le c^{-h_\varepsilon(\lambda_0)}\liminf_{t\to+\infty}\rho_{\ell,1}(t,\varepsilon,\lambda_0)\le c^{-h_\varepsilon(\lambda_0)}(\ell-1)!(n-\ell-1)!.$$

რადგან $\lim\limits_{\varepsilon\to0+}h_\varepsilon(\lambda_0)=0$. თუ უკანასკნელ უტოლობაში ავიღებთ ძედა ზღვარს, როცა $\varepsilon\to0+$, , მივიღებთ (3.24_ℓ) , რომელიც ამტკიცებს თეორემის სამართლიანობას.

თეორემა 3.3. ვთქვათ სრულდება 3.1 თეორემის პირობები და

$$\limsup_{t\to+\infty}t^{1-\mu(t)}<+\infty \tag{3.26}$$

სადაც μ განსაზღვრულია (3.2)-ის პირველი ტოლობით.მაშინ არსებობს $\lambda_0\in[\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to0+}\left(\liminf_{k\to+\infty}t^{-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)}\times\left[\int_0^t(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds\right.\right)\le(\ell-1)!(n-\ell-1)!. \quad (3.27_\ell)$$

დამტკიცება: რადგან 3.1 თეორემის პირობები სრულდება, არსებობს $\lambda_0\in[\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ (3.10_ℓ) პირობა ძალაშია. (3.5_ℓ), (3.9) და (3.26)-დან გვაქვს

$$\liminf_{k\to+\infty}t^{-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)}\times\left[\int_0^t(t-s)^{\ell-1}(\tau_*(s))^{h_\varepsilon(\lambda_0)}g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0)ds\le\right.$$

$$\leq c^{h_\varepsilon(\lambda_0)} \liminf_{t\to+\infty} \rho_{\ell,1}(t,\varepsilon,\lambda_0),$$

სადაც $c = \limsup_{t\to+\infty} t^{(1-\mu(t))/\mu(t)} < +\infty$, $\rho_{\ell,1}$ და g_ℓ შესაბამისად განსაზღვრულია (3.5_ℓ) და (3.4_ℓ) ტოლობებით. რადგან $\lim_{\varepsilon\to0+} h_\varepsilon(\lambda_0) = 0$, უკანასკნელი უტოლობიდან (3.10_ℓ) პირობის თანახმად მივიღებთ (3.27_ℓ) პირობას. რაც ამტკიცებს თეორემის სამართლიანობას.

თეორემა 3.4. ვთქვათ სრულდება 3.1თეორემის პირობები და (3.26). მაშინ არსებობს $\lambda_0 \in [\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to0+}\left(\liminf t^{-\lambda_0-h_{2\varepsilon}(\lambda_0)} \int_0^t (t-s)^{\ell-1} s^{h_\varepsilon(\lambda_0)} g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) \right) \leq (\ell-1)!(n-\ell-1)! \qquad (3.28_\ell)$$

სადაც g_ℓ განსაზღვრულია (3.4_ℓ) ტოლობით.

დამტკიცება: 3.1 თეორემის პირობები სრულდება, თუ გავითვალისწინებთ (3.23) პირობას მაშინ 3.2 თეორემის ძალით სამართლიანია (3.24_ℓ) . (3.6_ℓ), (3.9), (3.26)-დან გვაქვს

$$\limsup_{\varepsilon\to0+}\left(\liminf t^{-\lambda_0-h_{2\varepsilon}(\lambda_0)} \int_0^t (t-s)^{\ell-1} s^{h_\varepsilon(\lambda_0)} g_\ell(s,\varepsilon,\lambda_0) \right) \leq c^{h_\varepsilon(\lambda_0)} \liminf_{t\to+\infty} \rho_{\ell,2}(t,\varepsilon,\lambda_0),$$

სადაც $c = \limsup_{t\to+\infty} t^{(1-\mu(t))/\mu(t)} < +\infty$, $\rho_{\ell,2}$ და g_ℓ შესაბამისად განსაზღვრულია (3.6_ℓ) და (3.4_ℓ) ტოლობებით. რადგან $\lim_{\varepsilon\to0+} h_\varepsilon(\lambda_0) = 0$, მაშინ უკანასკნელი უტოლობიდან (3.24_ℓ) პირობის თანახმად მივიღებთ (3.28_ℓ) პირობას. რაც ამტკიცებს თეორემის სამართლიანობას.

თეორემა 3.5. ვთქვათ სრულდება 3.2 თეორემის პირობები და

$$\lim_{t\to+\infty} \mu(t) = 1. \qquad (3.29)$$

მაშინ არსებობს $\lambda_0 \in [\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to0+}\left(\liminf_{t\to+\infty} \rho_{\ell,3}(t,\varepsilon,\lambda_0) \right) = 0 , \qquad (3.30_\ell)$$

სადაც

$$\rho_{\ell,3}(t,\varepsilon,\lambda_0)=t^{\ell-\lambda_0+h_{1,\varepsilon}(\lambda_0)-\varepsilon}\times\int_t^{+\infty}\xi^{n-\ell-1}\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)}\xi_1^{(\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0))\mu_i(\xi_1)}d_{\xi_1}r_i(\xi_1,\xi)d\xi. \qquad (3.31_\ell)$$

<u>დამტკიცება:</u> რადგან 3.2 თეორემის პირობები სრულდება, საკმარისია ვაჩვენოთ, რომ (3.24_ℓ) მოიცავს (3.30_ℓ) პირობას. თუ ეს ასე არაა, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ დადებით წევრებიანი მიმდევრობები $\{\varepsilon_k\}_{k=1}^{+\infty}$, $\{t_k\}_{k=1}^{+\infty}$ და $c_0>0$ ისეთი, რომ $\lim\limits_{k\to+\infty}\varepsilon_k=0$ და

$$\rho_{\ell,3}(t,\varepsilon_k,\lambda_0)\ge c_0 \qquad \text{როცა} \quad t\ge t_k \qquad (3.32)$$

განვიხილოთ შემთხვევა როცა $\ell=n-1$ (3.32), (3.31_ℓ) და (3.6_ℓ) პირობების თანახმად მივიღებთ

$$\rho_{\ell,n-1}(t,\varepsilon,\lambda_0)\ge c_0 t^{\left(1-\frac{1}{\mu(t)}\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon}(\lambda_0)}\times\int_{t_k}^{t}(t-s)^{n-2}s^{\lambda_0+1-n+\varepsilon_k+h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0)}ds=$$

$$=\frac{c_0 t^{\left(1-\frac{1}{\mu(t)}\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0)}}{\prod\limits_{i=0}^{n-2}(\lambda_0+\varepsilon_k+h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0)-i)}\times t^{\lambda_0+\varepsilon_k+h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0)}(1+o(1)) \qquad \text{როცა} \quad t\ge t_k .$$

სხვა შემთხვევაში, (3.3) და (3.29)-ის თანახმად, არსებობს $t_k^{'}\ge t_k$ და $\varepsilon_k^{'}$ ისეთი, რომ

$$\rho_{n-1,2}(t,\varepsilon_k^{'},\lambda_0)\ge\frac{c_0 t^{\varepsilon_k^{'}}(1+o(1))}{\prod\limits_{i=0}^{n-2}(\lambda_0+\varepsilon_k^{'}+h_{2,\varepsilon_k^{'}}(\lambda_0)-i)} \qquad \text{როცა} \quad t\ge t_k^{'}.$$

შესაბამისად

$$\lim_{t\to+\infty}\rho_{n-1,2}(t,\varepsilon_k^{'},\lambda_0)=+\infty,$$

რომელიც ეწინააღმდეგება (3.24_{n-1}) უტოლობას. მიღებული წინააღმდეგობა $\ell=n-1$-ის შემთხვევაში ამტკიცებს თეორემის სამართლიანობას.

ახლა ვიგულისხმოთ, რომ $\ell \in \{1,\dots,n-2\}$. (3.6_ℓ) -ის თანახმად

$$\rho_{n-1,2}(t,\varepsilon,\lambda_0) \ge -t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)} \int_1^t (t-s)^{\ell-1} s^{h_{\varepsilon_k}(\lambda_0)} \int_s^{+\infty} \left(1-\frac{s}{\xi}\right)^{n-\ell-1} \times$$

$$\times d\int_\xi^{+\infty} \xi_1^{n-\ell-1} \sum_{i=1}^m \int_{\tau_i(\zeta_1)}^{\sigma_i(\xi_1)} \xi_2^{(\lambda_0-h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0))\mu_i(\xi_2)} d_{\xi_2} r_i(\xi_2,\xi_1) d\xi_1 ds = t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)-\lambda_0-h_{2\varepsilon_k}(\lambda_0)} \times$$

$$\times \int_1^t (t-s)^{\ell-1} s^{h_{\varepsilon_k}(\lambda_0)} \int_s^{+\infty} \left(\left(1-\frac{s}{\xi}\right)^{n-\ell-1}\right)' \int_s^{+\infty} \xi_1^{n-\ell-1} \sum_{i=1}^m \int_{\tau_i(\xi_1)}^{\sigma_i(\xi_1)} \xi_2^{(\lambda_0-h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0))\mu_i(\xi_2)} d_{\xi_2} r_i(\xi_2,\xi_1) d\xi_1 d\xi ds.$$

რადგან $\frac{d}{d\xi}\left(1-\frac{s}{\xi}\right)^{n-\ell-1} \ge 0$, როცა $\xi \ge s \ge t$, (3.3), (3.31_ℓ) და (3.32)-ის თანახმად უკანასკნელი უტოლობა გვაძლევს

$$\rho_{\ell,2}(t,\varepsilon,\lambda_0) \ge c_0 t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0)} \int_{t_k}^t (t-s)^{\ell-1} s^{h_{\varepsilon_k}(\lambda_0)} \times$$

$$\times \int_s^{+\infty} \xi^{\lambda_0-\ell-h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0)+\varepsilon_k} \left[\left(1-\frac{s}{\xi}\right)^{n-\ell-1}\right]' d\xi ds = c_0(\ell-\lambda_0-\varepsilon_k+h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0)) t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)-\lambda_0-h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0)} \times$$

$$\times \int_{t_k}^t (t-s)^{\ell-1} s^{h_{\varepsilon_k}(\lambda_0)} \times \int_s^{+\infty} (\xi-s)^{n-\ell-2} \xi^{\lambda_0-n-h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0)+\varepsilon_k} d\xi_1 ds =$$

$$= \frac{c_0(\ell-1)!(n-\ell-1)!(\ell-\lambda_0-\varepsilon_k+h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0))(1+o(1))}{\prod_{i=0}^{\ell-1}(\lambda_0+\varepsilon_k+h_{2,\varepsilon_k}(\lambda_0))\prod_{i=\ell+1}^{n-1}(\lambda_0-i+\varepsilon_k-h_{1,\varepsilon_k}(\lambda_0))} \times t^{\left(1-1/\mu(t)\right)h_{\varepsilon_k}(\lambda_0)+\varepsilon_k} \quad \text{როცა} \quad t \ge t_k$$

შესაბამისად, თუ $\ell \in \{1,\dots,n-2\}$, მაშინ (3.29)-ის თანახმად კვლავ გვაქვს, რომ

$$\lim_{t\to+\infty} \rho_{\ell,2}(t,\varepsilon_k',\lambda_0) = +\infty,$$

რაც ეწინააღმდეგება (3.24_ℓ) უტოლობას. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს თეორემის სამართლიანობას.

შემდეგი თეორემები მტკიცდება ანალოგიურად

თეორემა 3.6. ვთქვათ სრულდება 3.2 თეორემის პირობები და (3.26). მაშინ არსებობს $\lambda_0 \in [\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to 0+}\Big(\liminf_{t\to+\infty}\rho_{\ell,4}(t,\varepsilon,\lambda_0)\Big) \le \prod_{i=0,i\ne\ell}^{n-1}|\lambda_0 - i|, \qquad (3.33_\ell)$$

სადაც

$$\rho_{\ell,4}(t,\varepsilon,\lambda_0) = t^{\ell-\lambda_0+h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}\int_t^{+\infty}\xi^{n-\ell-1}\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)}\xi_1^{(\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0))\mu_i(\xi_1)}d_{\xi_1}r_i(\xi_1,\xi)d\xi. \qquad (3.34_\ell)$$

თეორემა 3.7. ვთქვათ სრულდება 3.6 თეორემის პირობები. მაშინ არსებობს $\lambda_0 \in [\ell-1,\ell]$ ისეთი, რომ

$$\limsup_{\varepsilon\to 0+}\Big(\liminf_{t\to+\infty}\rho_{\ell,5}(t,\varepsilon,\lambda_0)\Big) \le \prod_{i=0,}^{n-1}|\lambda_0 - i|,$$

სადაც

$$\rho_{\ell,5}(t,\varepsilon,\lambda_0) = t\int_t^{+\infty}\xi^{n-2-\lambda_0+h_{1,\varepsilon}(\lambda_0)}\sum_{i=1}^{m}\int_{\tau_i(\xi)}^{\sigma_i(\xi)}\xi_1^{(\lambda_0-h_{1,\varepsilon}(\lambda_0))\mu_i(\xi_1)}d_{\xi_1}r_i(\xi_1,\xi)d\xi. \qquad (3.35_\ell)$$

4. მონოტონური ამონახსნების არ არსებობის საკმარისი პირობები

თეორემა 4.1. ვთქვათ $F \in V(\tau)$, (1.2)((1.3)), (2.11), (2.12) და (3.7_ℓ) -(3.9) პირობები სრულდება, $\ell \in \{1,\dots,n-1\}$ $\ell+n$ კენტია ($\ell+n$ ლუწია) და ყოველი $\lambda \in [\ell-1,\ell]$-თვის

